რევოლუციის მუზეუმი
МУЗЕИ РЕВОЛЮЦИИ
ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 17

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.**

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიური საბჭოს დებულებისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის დებულებისა, კონსტრუქციისა და შტატის დამტკიცების შესახებ.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული: 1) დებულება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიური საბჭოს შესახებ და 2) დებულება საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის შესახებ და მისივე კონსტრუქცია და შტატი.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯ. მოადგილე **ლ. ღოღობერიძე**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. მაისის 8.
ტფილისი—სასახლე.

**დ ა ნ ა რ თ ი I.**

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ეკონომიური საბჭოს შესახებ.

1. სამეურნეო და ფინანსიურ ღონისძიებათა გაერთიანებისათვის, და აგრეთვე საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკაში ეკონომიური პოლიტიკისა და მუშაობის ხელმძღვანელობისათვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსთან არსდება საქართველოს ეკონომიური საბჭო.

2. ეკონომიური საბჭოს შედგენილობაში არიან თავმჯდომარედ და მის მოადგილედ—საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე, ხოლო წევრებად: სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, მიწათმოქმედების სახალხო კომისარი, შრომის სახალხო კომისარი, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მდივანი, ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი.

ეკონომიური საბჭოს შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო.

3. ეკონომიური საბჭოს მიზანს შეადგენს:

ა) დაწესება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთელი სახალხო მეურნეობისათვის საერთო სამეურნეო გეგმისა.

ბ) თვალყურისდევნება ამ გეგმის განხორციელებისათვის და, უკეთუ საჭიროება მოითხოვს, ამ გეგმადან ზოგიერთი გამონაკლისთა მოხდენა.

გ) შეთანხმება და წარმართვა ეკონომიურ სახალხო კომისარიატებისა და რესპუბლიკანური ხასიათისა და მნიშვნელობის სხვა სამმართველოების მუშაობისა საერთო რესპუბლიკანური სამეურნეო გეგმის მიხედვით (3. ა.).

დ) შეთანხმება რესპუბლიკის სამეურნეო ორგანოთა მოქმედებისა ერთიან ფედერალურ სამეურნეო გეგმასთან და თვალყურისდევნება, რათა მათ თავის დროზე და სისწორით შეასრულონ ყველა უმაღლესი ფედერალური სახელმწიფო ორგანოს დადგენილება ეკონომიურ საკითხების სფეროში.

4. ყველა სახალხო კომისარიატი და რესპუბლიკანური ხასიათის სამმართველო ვალდებულია თავისი საგეგმო მოსაზრებანი და აგრეთვე წარმოებითი პროგრამები რესპუბლიკანური მეურნეობის საკითხების სფეროში წარუდგინონ დასამტკიცებლად ეკონომიურ საბჭოს.

5. ეკონომიურ საბჭოს დადგენილებანი სავალდებულოა ყველა რესპუბლიკანური სახალხო კომისარიატისათვის და აგრეთვე რესპუბლიკანური ხასიათის სხვა სამმართველოებისათვის კუთვნილებისამებრ.

6. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს უფლება აქვს გააუქმოს ან შეაჩეროს ეკონომიური საბჭოს ესა თუ ის დადგენილება.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯ. მოადგილე **ლ. ღოღობერიძე,**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. მაისის 8.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის შესახებ.

1. საქართველოს ეკონომიურ საბჭოს დებულებაში გათვალისწინებულ მიზანთა პრაქტიკული განხორციელებისათვის ეკონომიურ საბჭოსთან არსდება საქართველოს სახელმწიფო საერთო საგეგმო კომისია.

2. საქართველოს სახელმწიო საგეგმო კომისია შესდგება: სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, შინავაჭრობისა და საერთო სექციებისაგან. სექციების წევრთა რიცხვი განისაზღვრება საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით.

3. საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიზანია:

ა) შეიმუშაოს რესპუბლიკის ერთიანი სამეურნეო გეგმა და წესი და ღონისძიებანი ამ გეგმის განხორციელებისათვის;

ბ) შეიმუშაოს რესპუბლიკის ბიუჯეტი და აგრეთვე, რესპუბლიკანური და ადგილობრივ გადასახადთა სისტემა;

გ) შეიმუშაოს სურსათის მომარაგების ერთიანი გეგმა;

დ) შეიმუშაოს მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის საერთო საკითხები, და აგრეთვე მთლად რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიწის წიაღთა, ტყეთა და წყალთა სარგებლობის წესი;

ე) შეიმუშაოს ტრანსპორტისა და ფოსტა-ტელეგრაფის საქმის მოგვარების წესები;

ვ) შეიმუშაოს შრომისა და საკონცესიო ხელშეკრულებათა კანონები;

ზ) შეიმუშაოს სამელიორაციო საქმისა და ძვირფას სასოფლო-სამეურნეო კულტურათა განვითარების საქმის საერთო საფუძლები;

თ) განიხილოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში სახალხო კომისარიატებისა და რესპუბლიკანური ხასიათის ცალკე სამმართველოების პროგრამები და საგეგმო მოსაზრებანი და შეუთანხმოს ერთიან რესპუბლიკანურ გეგმას;

ი) განიხილოს საერთო ფედერატიული ხასიათის პროგრამები და საგეგმო მოსაზრებანი და შეუთანხმოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის გეგმას.

4. ყველა პროექტი მნიშვნელოვანი დეკრეტისა და დადგენილებისა ეკონომიური და ფინანსიური საკითხების სფეროში, რაც ცალკე უწყებათა მიერ წარდგენილ იქნება სახალხო კომისართა საბჭოში და ეკონომიურ საბჭოში, წინასწარ გადაეცემა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას განხილვისა და დასკვნისათვის.

5. სახელმწიფო საგეგმო კომისიას უფლება აქვს შეიტანოს სახალხო კომისართა საბჭოში და ეკონომიურ საბჭოში თავისი ინიციატივით დეკრეტებისა და დადგენილების პროექტი ეკონომიური და ფინანსიური საკითხების სფეროში დაინტერესებულ უწყებათა მოსაზრებათა თანდართვით.

6. საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისია საერთო საკავშირო და ფედერატიულ ორგანოებისაგან ამა თუ იმ დავალებას მიიღებს საქართველოს ეკონომიურ საბჭოს მეშვეობით და ეს დავალებანი მისთვის სავალდებულოა.

7. საერთო საკავშირო და ფედერატიული ორგანოების შეკითხვაზე საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისია თავის დასკვნას მისცემს საქართველოს ეკონომიურ საბჭოს მეშვეობით.

8. საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისია ყველა თავის დასკვნას წარუდგენს დასამტკიცებლად ეკონომიურ საბჭოს.

9. საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისია მოეწყობა ეკონომიურ საბჭოს მიერ ამისათვის ცალკე შედგენილ დებულების თანახმად.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოს თავმჯ. მოადგილე **ლ. ლოლობერიძე.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომის. საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. მაისის 8.
ტფილისი—სასახლე.

დ ა ნ ა რ თ ი 3.

# კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

## საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიისა.

1. საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის ორგანოები არის: პლენარული სხდომა, პრეზიდიუმი და სექციები.

2. პლენარული სხდომა შესდგება სექციების ყველა წევრთაგან; პრეზიდიუმი—სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარისა და სექციათა მდივნებისაგან; სექცია—სამი წევრისაგან, რომელთა შორის ერთი წევრი არის სექციის სწავლული მდივანი.

3. სახელმწიფო საგეგმო კომისიის წევრებს, ეკონომიური საბჭოს წარდგენით, დაამტკიცებს სახალხო კომისართა საბჭო, იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ საჭირო ცოდნა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სათანადო დარგისა.

4. სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაობას გაანაწილებს სათანადო სექციებ შორის სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმი, ან მისი თავმჯდომარე.

5. პლენარული სხდომის მიზანთა ფარგალში შედის განხილვა იმ საკითხებისა, რასაც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის აქვს საერთო ეკონომიური მნიშვნელობა და აგრეთვე იმ საკითხებისა, რაც სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს წინადადებით, ან პრეზიდიუმის დადგენილებით გადაეცემა პლენარულ სხდომას განხილვისა და დასკვნისათვის.

6. პრეზიდიუმი განიხილავს და მისცემს დასკვნებს საერთო-ეკონომიურ ხასიათის საკითხებზე, უკეთუ ეს საკითხები სასწრაფო ხასიათის იქნება და, აგრეთვე იმ საკითხებზე, რაც ეხება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ ცალკე დარგს.

7. სექციათა მიზანს შეადგენს ყველა იმ საკითხის შემუშავება, რაც გათვალისწინებულია სახელმწიფო საგეგმო კომისიის დებულებაში და დასკვნის მიცემა იმ საკითხების შესახებ, რაც აღიძვრება სახალხო კომისარიატებისა და ცალკე რესპუბლიკანური ხასიათის სამმართველოების მიერ.

8. ყველა საკითხი, ვიდრე იგი განიხილებოდეს სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმში ან პლენუმში, გადაცემულ უნდა იქნეს სათანადო სექციაში განხილვისა და დასკვნისათვის.

9. სახელმწიფო საგეგმო კომისიას უფლება აქვს მოიწვიოს ხოლმე მცოდნე პირები.

10. სახელმწიფო საგეგმო კომისიის მომუშავე აპარატი შესდგება—სწავლული მდივნებისაგან, რომელთაც უნდა ჰქონდეთ სპეციალური ცოდნა სახალხო მეურნეობის სათანადო დარგისა, და კანცელარიისაგან.

11. სახელმწიფო საგეგმო კომისიას უფლება აქვს მოწვეულ მცოდნე პირებს მისცეს შრომისათვის საეტონო გასამრჯელო.

12. სახელმწიფო საგეგმო კომისიის შტატსა და ხარჯთ-აღრიცხვას განიხილავს ეკონომიური საბჭო და დაამტკიცებს სახალხო კომისართა საბჭო.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯ. მოადგილე **ლ. ღოღობერიძე**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1924 წ. მაისის 8.
ტფილისი—სასახლე.

**დანართი 4.**

# შ ტ ა ტ ი

## საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიისა.

| | | |
|---|---|---|
| თავმჯდომარე | — — — | 1. |
| წევრი—სექციის მდივანი | — — | 4. |
| მდივანი | — — — — | 1 (იგივე მდივანი საქართველოს ეკონომიურ საბჭოსი). |
| მემანქანე | — — — — | 2. |
| საქმისმწარმოებელი | — — | 1 (იგივე რეგისტრატორი). |
| | | 9. |

სექციის წევრი—მდივანი (4 სექციისათვის)—12.
შრომის გასამრჯელო საეტონოა.

მცოდნე პირები:
მცოდნე პირები მოიწვევა სექციის მდივნების შეხედულებისამებრ და გასამრჯელო საეტონოა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯ. მოადგილე **ლ. ღოღობერიძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1924 წ. მაისის 8.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Постановление № 17

## Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии.

### Об утверждении: 1, Положения об Экономическом Совете Соц. Сов. Респ. Грузии и 2, Положения, Конструкции и штатов Государственной Плановой Комиссии Соц. Сов. Респ. Грузии.

Совет Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии постановляет:

1. Утвердить прилагаемые к настоящему постановлению: 1, Положение об Экономическом Совете Соц. Сов. Респ. Грузии и 2, Положение, конструкцию и штаты Государственной Плановой Комиссии Соц. Сов. Респ. Грузии.

2. Настоящее постановление вступает в силу со дня его опубликования.

Зам. Пред. Совета Народн. Комиссаров
Социалист. Совет. Республики Грузии Л. ГОГОБЕРИДЗЕ.

Секретарь Совета Народных Комиссаров
Социалист.Совет. Республики Грузии АЛ. САЛАРИДЗЕ.

1924 г. мая 8.
Тифлис—Дворец.

Приложение 1.

# ПОЛОЖЕНИЕ

### Об Экономическом Совете Социалистической Советской Республики Грузии.

1. В целях об'единения хозяйственных и финансовых мероприятий, а также руководства экономической политикой и работой ССР Грузии при Совнаркома ССР Грузии учреждается Экономический Совет (ЭКОСО) Грузии.

2. В состав ЭКОСО входят в качестве председателя и его заместителя—Председатель Совнаркома ССРГ и его заместитель и членами: Народные Комиссары ВСНХ Наркомзем, Наркомтруд, СПСГ, Уполнаркомфина в Грузии, и ЦЕСУ, состав коего утверждается Совнаркомом.

3. ЭКОСО имеет своей задачей:

а) установление общего хозяйственного плана всего народного хозяйства ССРГ;

б) наблюдением за осуществлением этого плана и установление, в случаях необходимости, из'ятий из этого плана;

в) согласование и направление работ Экономических Наркоматов и других управлений республиканского характера и значения в соответствии с обще-республиканским хозяйственным планов (п. а);

г) согласование деятельности республиканских хозяйственных органов с единым федеральным хозяйственным планом и наблюдение за своевременным и точным выполнением ими постановлений по экономическим вопросам всех высших федеральных государственных органов.

4. Все Наркоматы и отдельные Управления республиканского характера обязаны свои плановые предложения, а также производственные програмы по вопросам республиканского хозяйства представлять на утверждение ЭКОСО.

5. Постановления ЭКОСО обязательны для всех республиканских Наркоматов, а также отдельных Управлений Республиканского характера по принадлежности.

6. Совнарком ССРГ в праве отменять или приостанавливать постановления ЭКОСО.

Зам. Пред. Совета Народных Комиссаров
Социалист. Совет. Республики Грузии Л. ГОГОБЕРИДЗЕ.

Секретарь Совета Народных Комиссаров
Социалист. Советской Республики Грузии АЛ. САЛАРИДЗЕ.

1924 г. мая 8.
Тифлис—Дворец.

Приложение 2.

# ПОЛОЖЕНИЕ

### О Государственной плановой Комиссии (Грузгосплан).

1. Для практического проведения в жизнь предусмотриваемых положением об ЭКОСО задач, при последнем организуется обще-плановая комиссия (Грузгосплан).

2. Грузгосплан имеет секции: сельско-хозяйственную, промышленную внутренней торговли и общую, в составе членов, определяемом особым постановлением Совнаркома.

3. Грузгосплан имеет своей задачей:

а) разработку единого республиканского хозяйственного плана, способов и порядка его осуществления;

б) разработку республиканского бюджета, а также системы республиканских и местных налогов;

в) разработку единого продовольственного плана снабжения;

г) разработку общих вопросов землеустройства и землепользования, а также пользования недрами, лесами и водами по всей территории Республики;

д) разработку правил регулирования транспортного и почтовотелеграфного дела;

е) разработку законов о труде и концессионных договоров;

ж) разработку общих начал мелиоративного дела и дела развития ценных сельско-хозяйственных культур;

з) рессмотрение и согласование с республиканским планом програм и плановых предположений отдельных Наркоматов и Управлений республиканского характера по всем отраслям Народного хозяйства.

и) рассмотрение и согласование с республиканским планом народного хозяйства програм и плановых предположений обще-федеративного характера;

4. Все проекты важнейших декретов и постановлений по экономическим и финансовым вопросам, вносимым отдельными ведомствами в Совнарком и ЭКОСО предварительно вносятся на рассмотрение и заключении Грузгосплана.

5. Грузгосплан имеет право вносить по своей инциативе проекты декретов и постановлений по экономическим и финансовым вопросам в Совнарком и ЭКОСО с обязательным отзывом заинтересованных ведомств.

6. Задания обще-союзных и федеративных органов Грузгосплану поступают через ЭКОСО ССРГ и обязательны для Грузгосплана.

7. Заключения по запросам обще-союзных и федеративных органов Грузгосплана дает через ЭКОСО ССРГ.

8. Свои заключения Грузгосплан вносит на утверждение ЭКОСО.

9. Грузгосплан конструируется согласно особо выработанного ЭКОСО положения.

Зам. Председателья Совета Народных Комиссаров
Социалист. Советской Республики Грузии Л. ГОГОБЕРИДЗЕ.

Секретарь Совета Народных Комиссаров
Социалист. Советской Республики Грузии АЛ. САЛАРИДЗЕ

1924 г. мая 8.
Тифлис—Дворец.

Приложение 3.

# Конструкция Госплана.

1. Органами Госплана являются: Пленарное заседание, Президиум. и секции.

2. Пленарное заседание состоит из всех членов секции; Президиум—из Председателя Госплана и секретарей секции; секция—из трех членов, из коих один вместе с тем является ученым секретарем секции.

3. Члены Госплана утверждаются Совнаркомом по представлению ЭКОСО, из числа лиц, сведущих в соответствующей отрасли Народного хозяйства Республики.

4. Работы Госплана распределяются по соответствующим секциям Президиумом Госплана или его Председателем.

5. В круг задач Пленарного заседания входит рассмотрение и обсуждение вопросов, имеющих обще-экономическое значение в народном хозяйстве Республики, а также тех вопросов, кои по предложению Совнаркома, ЭКОСО или по постановлению Президиума будут переданы на обсуждение и заключение Пленарного заседания.

6. В круг ведения Президиума входит рассмотрение и заключение вопросов обще-экономического характера, в случаях срочности этих вопросов, а также поросов, касающихся отдельных сторог народного хозяйства Республики.

7. Секции имеют своей задачей разработку всех вопросов, предусматриваемых положением о Госплане, а также дачу заключений по вопросам, возбуждаемым отдельными Наркоматами и управлениями Республиканского характера.

8. Все вопросы, прежде чем они рассматриваются в Президиуме или Пленуме Госплана, должны быть переданы на рассмотрение и заключение соответствующих секций.

9. Госплану предоставляется право приглашения сведущих лиц.

10- Рабочий аппарат Госплана состоит из ученных секретарей специалистов соответстующих отраслей народного хозяйства и канцелярии.

11. Госплану предоставляется право пожетонного вознаграждения труда приглашаемых сведущих лиц.

12. Штаты и смета Госплана рассмотриваются ЭКОСО и утверждаются Совнаркомом.

Зам. Председателя Совета Народных Комиссаров
Социалист. Советской Республики Грузии Л. ГОГОБЕРИДЗЕ.

Секретарь Совета Народных Комиссаров Социалист. Сов. Респ. Грузии АЛ. САЛАРИДЗЕ.

1924 г. мая 8.
Тифлис—Дворец.

р11023

Приложение 4.

# Штаты Грузгосплана.

| | | |
|---|---|---|
| Председатель | — — — | 1. |
| Члены-Секретари Секций | — — | 4. |
| Секретарь | — — — — | 1. (он же секретарь ЭКОСО ССРГ). |
| Машинистки | — — — | 2. |
| Делопроизводитель | — — | 1. (он же регистратор). |
| | | 9. |

Члены Секций—постоянные (для 4 секц.) 12.

Оплата труда производится пожетонно.

Сведущие лица:

Сведущие лица приглашаются по усмотрению Секретарей Секций и оплачиваются пожетонно.

Зам. Секретаря Совета Народных Комиссаров
Социалист. Советской Республики Грузии Л. ГОГОБЕРИДЗЕ.

Секретарь Совета Народных Комиссаров
Социалист. Советской Республики Грузии АЛ. САЛАРИДЗЕ.

1924 г. 8 мая.
Тифлис—Дворец.